



- აქ ყველას უყვარს ფიგურულურა
- სპორტული ჟურნალისტის ახალი წიგნი
- პარიზში წამოაყენა თაინის კანდიდატურა



ლეოს
ნოვაჯი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



საპარტიველო სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საპარტიველო რედაქციის საბავოს ორგანო
Л Е О Орган Союза спортивных общества и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 21-ე წელი.

№ 157 (2520) ● საშუაბათი, 11 აპრილი, 1964 წ. ● შანი 8 პაპ.

გ ა ზ ე თ „ლეოს“ 20 წელი
თავისთავად ეს დროის არც თუ ისე დიდი მონაკვეთია, მაგრამ გაზეთისთვის განაპატარა ამბავია — 20 წლის მანძილზე ელაპარაკოს თავის მკითხველებს ათწევარ საჭირობოტო საკითხსა და პრობლემასზე? და „ლეოს“ შეძლებისდაგვარად ესაუბრება ჩვენი სახელობის ფიგურულურებისა და სპორტსმეების, სპორტის გულშემატკივრების მრავალთაგან არმიას სპორტულ ასპარეზობებსა და ფიგურულური კოლექტივების საქმიანობაზე, სპორტის გრძელვადიან სახეობების შემდგომი აყვავების აუცილებლობასა და მოსახლეობის მასობრივად ჩაბმას ფიგურულურ მეცადინეობაში...
ძალიან სასიამოვნოა გაზეთის ფურცლებზე ჩვენი სახელობის სპორტსმეების წარმატებათა ამსახველი მასალების შექმნა. რა კარგი იქნებოდა, რომ წყურვი მხოლოდ ეს გვეჩვენებდეს!
მაგრამ, სამწუხაროდ, რესპუბლიკის ფიგურულური ორგანიზაციების მოღვაწეობა ჯერ კიდევ ხასიათდება ბევრი ნაკლოვანებით და „ლეოს“ ვალდებულია გამოამწვეფროს ეს სერიოზული ხარვეზები, ფართო აქტივთან ერთად დაასახოს მათი გამოწორების ღონისძიებანი, დაუნდობლად და შეუპოვრად გერბოლოს ყოველგვარ სიმანინჯეს ჩვენს სპორტულ ცხოვრებაში.
„ლეოს“ ამჟამად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩვენში სპორტის წარმარჩენილი სახეობების წამოწვევასა და ფუნქციონირებას: აბა, რას ქვავს, რომ ჩვენს რესპუბლიკაში, რომელიც



აქალი ჯილდოები — ზეიმის დღე

ქუთაისი. 10 აპრილი. (ტელეფონით ჩვენი კორ.) ფიგურულურების საკავშირო დღეს პოლიტგანათლების კაბინეტში ჩატარდა ქალაქის კომკავშირულ ფიგურულური აქტივის კრება.
მოსხენებით გამოვიდა სპორტკავშირის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ლ. ახვლედიანი.
კამათში მონაწილეობა მიიღეს: ე. აფრილიანიძე („განათლება“), შ. ნაჭყელიძე („სპორტაი“), ნ. ზიგვიძეძე („ლოკომოტივი“), ი. თავადაშვილი (ტანგარჯიშული სკოლა), ლ. სიხარულიძე (სპორტკლუბი „კოლხიდა“), კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანმა თ. იმედაძემ და სხვ.
აქტივზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სპორტკავშირის საორგანიზაციო და კადრების განყოფილების გამგე შ. სუხიშვილი, რომელმაც ქალაქის სპორტკავშირის მაღალი მაჩვენებლებისათვის გადასცა სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს გარდამავალი დროშა. ქუთაისის სპორტკავშირის დროშა გადაეცა სპორტკლუბ „თბოშავლს“.

ერთ-ერთი ავანგარდული როლის შემსრულებელია საბჭოთა ფიგურულურ სპორტულ მოძრაობაში, ჩამორჩება მძლეობა, სასტენდო სროლა, აკადემიური ნიჩბოსნობა, კრივი, ცხენოსნობა, ფრენბურთი...
წლევანდელი წელიწადი ოლიმპიური წელია და „ლეოს“, ბუნებრივია, დიდ ადგილს უთმობს საქართველოს ოლიმპიელთა მზადებას ტოკიოს სტარტებისათვის.
„ლეოს“ რედაქციის მთელი საქმიანობის ქვაკუთხედი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ცნობილი დადგენილებები, რომელთა ცხოვრებაში განუხრავად გატარება შეუძლებელია და სპორტის განვითარებისთვის. ამ საპატიო და საინტერესო საქმიანობაში გაზეთს განუზომლად დიდ სამსახურს უწევს მისი შტატგარეშე აქტივი.
გასაკეთებელი ძალიან ბევრი რამ გვაქვს. „ლეოს“ მიზნები — ეს საქართველოს ფიგურულური და სპორტული ორგანიზაციების მიზნებია!

„ლეოს“ — საკაბიო სიგელი

საქართველოს სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს ბიუროს დადგენილებით, იმის გამო, რომ 20 წლისთავი შეუსრულდა გაზეთ „ლეოს“ — რომელმაც თავისი არსებობის მანძილზე დიდი და ნაყოფიერი წვლილი შეიტანა რესპუბლიკაში ფიგურულური და სპორტის განვითარებისა და პროფკავშირის საქმეში, გაზეთის რედაქცია

საპარტიველო სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს სიგელით.

ბათუმი. 10 აპრილი (ტელეფონით ჩვენი კორ.). „სპორტაი“ — საკურაო აუზში გრძელდება სსრ კავშირის პროფკავშირთა პირველობა წყალბურთში ქაბუთა გუნდებს შორის. ასპარეზობის მეორე დღეს მოსკოვის „ტორპედოსა“ და ბაქოს „ნეფტაინის“ შეხვედრაში მინიმალური უპირატესობით (5:4) გამარჯვებს მოსკოველებმა. ლენინგრადის „ტრუდმა“ გამანადგურებელი ანგარიშით (10:3) მოუგო ტაშკენტის „მეხნატს“ წყალბურთელებს. მოსკოვის „ბურვეესტნიკმა“ ძლიერ ასტრახანის „სპარტაკს“ — 4:2. მესამე ტურის ტექნიკური შედეგები ასეთია: „ვოდნიკი“ (ლენინგრადი) — „ტრუდი“ (ლენინგრადი) 4:3, „სპარტაკი“ (ასტრახანი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 2:1, „ნეფტაინი“ (ბაქო) — „მეხნატი“ (ტაშკენტი) 6:2.
საშტურის შემდეგ 4 ქულთ ლიდერობს „ვოდნიკი“. მას 1 ქულით ჩამორჩება „ნეფტაინი“. ასპარეზობა გრძელდება.

ორი მატჩი
გამართა სსრ კავშირის პირველობის ორი მატჩი ფეხბურთში „ბ“ კლასის IV ზონის გუნდებს შორის, აი, მათი შედეგები: „სრომითი რეზერვები“ (კავშირედი) — „დინამო“ (სამარაყლა) 1:0, „დინამო“ (კიოვობადი) — „სპარტაკი“ (ნალჩიკი) 1:1.
უკანასკნელ საათს!
ხარკოვი, 10 აპრილი. სსრ კავშირის პირველობაზე წყალში ბტომაში ვ. პოგოუევა გამოიწინა ოქროს მედალი მოიპოვა კოშკურიდან ბტომაში.

ქვიზების პიონერთა რესპუბლიკური ბანაკი ერთ-ერთი მოწინავე საქართველოში. აქ ყოველთვის ხალხიანად ატარებენ დროს ნორჩები. ამ სურათზე სწორედ მომენტია აღბეჭდილი, როცა პიონერთა ერთი ჯგუფი მორიგ ტურისტულ ლაშქრობაში მიემართება.



გილოცვები, მისალმებანი, სურვილები...

გაზეთ „ლეოს“ რედაქციას

სსრ კავშირის სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭო მსურველად მოგილოცავთ „ლეოს“ კოლექტივს, ყველა თანამშრომელს, გაზეთის 20 წლისთავს და გისურვებთ შემდგომ წარმატებებს რესპუბლიკაში ფიგურულურებისა და სპორტის პროკავანდაში.

ი. მახინი,
სსრ კავშირის სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, მოსკოვი.

მ ც ი წელია ძლიერამოსილი ქართული სპორტის სათავეში მიაბიჯებს ჩვენი მომხმე თანამებრძოლი. თქვენი ფეხბურთელების, მოჭიდავეების, მძლეოსნების გამარჯვებებში „ლეოს“ რედაქციის კოლექტივის სულის ნაწილიცაა ჩაქსოვილი. გულითადად მოგილოცავთ ძვირფას მეგობრებსა და კოლეგებს სახელგანთქცილ და გისურვებთ ახალ შემოქმედებით სტარტებს საბჭოთა სპორტის სადიდებლად. ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, ბედნიერებას!
„ფიგურულურნიკ აზერბაიჯანს“ რედაქციის სახელით,
ძიავიზ-ზადე

ბ ა ქ ო.

ქვიზების მეგობრებო! გულითადად გილოცავთ სახელოვან ოცი წლისთავს. მსურველად გისურვებთ დიდ გამარჯვებებს მომავალშიც ხალხის კეთილდღეობისთვის ნაყოფიერი მუშაობის კეთილშობილურ მიზნით. დე, ყოველთვის თან გახლდეთ შემოქმედებითი წარმატებანი, ჯანმრთელობა და ბედნიერება!
„ფიგურულურნიკ ბელორუსის“ რედაქციის სახელით,
სავლიჩანოვი

მ ინ ს კ ი.

მ თ ე ლ ი ს გულით გილოცავთ საქართველოს ფიგურულურებისა და სპორტსმეების მებრძოლი ორგანოს — „ლეოს“ 20 წლისთავს. ქართველი სპორტსმეები ყოველთვის მიაბიჯებდნენ საბჭოთა ფიგურულური მოძრაობის ავანგარდში და საუკეთესო მხრივ გამოიჩინეს თავი როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. და ამაში მცირე ღვაწლი როდი მიუძღვის პოპულარულ სპორტულ გაზეთ „ლეოს“! ამ ოლიმპიურ წელსაც ვუსურვებთ ქართველ სპორტსმეებს ახალ, შესანიშნავ წარმატებებს ჩვენი სამშობლოს სპორტული ღირსების სადიდებლად! ვუსურვებ ჩვენს მეგობრებს, თანამოკალმე კოლეგებს დიდ შემოქმედებით წარმატებებს, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას. ვაშა ჩვენს ძიობას!
„აიასტანი ფიგურულურნიკის“ რედაქციის სახელით,
ბარბიანი

ე რ ე ვ ა ნ ი.

გ ა ზ ე თ „სპორტის“ რედაქციის კოლექტივის სახელით ჩვენს ქართველ კოლეგებს გულითადად გილოცავთ სახელოვან იუბილეს და ვუსურვებთ ახალ შემოქმედებით წარმატებებს.
ს ა ზ ი ლ ი ო ნ ი ს ი

გ ი ლ ნ ი უ ს ი.


მ ო გ ი ლ ო ც ა ვ თ. კვლავაც ასე გველოთ!
ესტონეთის სპორტული გაზეთის კოლექტივი.

ტ ა ლ ი ნ ი.

ყველაფერი საზოგადოებრივ საფიზიკურ

არის ხმა გაისმა. „საქქალაქ-მშენებლის“ ქუთაისის ფილიალის ყველა ოთხში დროებით შეწყდა საქმიანობა. დიფუზი საწარმოო ტანვარჯიში. ასეა აქ ყოველდღე. შრომის დაწყებიდან 2 საათის შემდეგ, 10 საათზე რეგულარულად ტარდება ეს ღონისძიება.

დამპროექტებლებს მარტო საწარმოო ტანვარჯიშის მაღალ დონეზე დაყენება რომ აქვთ სტრატეგია. თანამშრომელთა 82 პროცენტია სპორტით დაინტერესებული. სპორტის 7 სახეობის წარმომადგენლები ერთმანეთს ტოლს არ უდებენ წარმატებათა მოპოვებაში.



კოლექტივი სამეგრელოში დაიწყო დაიწყო საქართველოს საპროექტო ინსტიტუტისა და მისი ფილიალების სპორტკლავის მთავარ პიროს და იგი საბოლოოდ შეინარჩუნა. შარბი აქაურმა სპორტსმენებმა პირველი ადგილი მოიპოვეს ტყვიით სროლაში, მორჩინი იყვნენ ჭადრაკსა და ფრენბურთში, ხოლო „განთიადის“ საქალაქო ღონისძიებაზე თავი ისახელეს კალათბურთელებმა (როგორც ქალებმა, ისე გუნდებმა), მოჭადრაკეებმა, მაგიდის ჩოგბურთელებმა. მსროლელები საუკეთესოები იყვნენ ტექნიკური სახეობის წარმომადგენელთა შეჯიბრებაზე.

ნურაგინ იფიქრებს, თითქოს აქ ფენომენები იყვნენ თავშეყარდნენ. არა, ისინი სპორტის ისეთივე მოყვარულნი არიან, როგორც სხვა ათასები ჩვენს რესპუბლიკაში, ოღონდ აქვთ მეტი მონდობა, კოლექტივის სულისკვეთება და საქმიანობის სიყვარული. ისინი ისეთი აღმანიები არიან, რომლებიც შრომის შემდეგ არ გაურბიან „შვ“ სამუშაოებს. ფილიალთან ადგილის უქონლობის გამო როინქსში საკუთარი ძალებით ააგეს ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები და ყოველ თანხმობას დაწესებულების მანქანით თავსარჩვიდნენ.

ფიზკულტურული კადრები? ჰყავთ რამდენიც გნებავთ და ყველა უსასყიდლოდ მუშაობს. კალათბურთულ და ფრენბურთულ გუნდებს ავარჯიშებს ადგილობრივი თავმჯდომარე, პირველთაირიგოსანი თ. ყიფიანი, ფრენბურთულ ქალებს თავიანთ გამოცდილებას უზიარებს ზობლოთეკარი, საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრი, პირველთაირიგოსანი ს. კეკელია, კალათბურთული ქალების წვრთნის ხელმძღვანელობა გეოლოგმა, ასევე პირველთაირიგოსანმა თ. ჩაჩუამ იყისრა. მტკვდავი-მემანქანე, პირველთაირიგოსანი მაგიდის ჩოგბურთელი ლ. ჯოხაძე ამ სახეობის მიმდევართა სული და გულია.

არქიტექტორთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს ტურირიზმიც, არ მოყვებით მათი ყველა მოგზაურობის ჩამოთვლას, საქ-

მარისია თუნდაც ისეთი გასვლების განხორციელება, როგორცაა ლაშქრობა ხეამლე და 30-კაციანი ჯგუფის მიერ დარიალის ხეობის დალაშქვრა. მრავალფეროვანია ტურისტების ინსტრუქტორის, არქიტექტორ ა. ფხაკაძის გეგმები, რომელთა შორის ყურადღების ღირსია ფილიალის თანამშრომელთა ერთკვირიანი მოგზაურობა სეანეთში.

დაწესებულების ფიზკულტურელებს ევრო უსაყვედურებს საკუთარ „ნაქუქში“ ჩაეტყვას. ტყვიით მსროლელები, იხეობები მ. დოგრაშვილი და გ. შავეიძე არა ერთხელ გამოსულან ქალაქის ნაკრებში. კოლექტივის წევრები ქუთაისის თითქმის ყველა სპორტული ნაგებობის პროექტის ავტორნი, ან თანაავტორები არიან. არქიტექტორ შ. მოსუშვილის პროექტით მოხდა ავტოპარკის სპორტდარბაზის რეკონსტრუქცია. აქაურ სპეციალისტთა ჯგუფმა დააპროექტა ქალაქის კალათბურთის ცენტრალური მოედანი, ასეა აქ აშუშავებენ პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტული დარბაზის პროექტს. თავიანთი საქმიანობით აქაურები მუდამ აქტიურად მონაწილეობენ ქალაქის ფიზკულტურული ორგანიზაციების ბაზების მშენებლობაში და ყოველთვის უსასყიდლოდ.

როგორია აქვენი კოლექტივის მომავლის გეგმა? — ვითხებით ფიზკულტურული საბჭოს თავმჯდომარეს გ. ზამთარაძეს. — პირველი ამოცანაა — არ ჩამოვრჩეთ ჩვენი ქვეყნის მასობრივ ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის განვითარების მზარდ ტემპს. არ დავკმაყოფილდეთ მიღწეულით, ვისრულოთ უწყვეტი მანევრებლებისთვის. ამ მიზნით ჩვენთან მალე დაინერგება ბადმინტონი და მშვიდობისობა. საამისო პირველი ნაბიჯი უკვე გადავდგით — შევიძინეთ ინვენტარი და, რაც მთავარია, ბათუმში წარმატებით უნდა დავიცვათ კოლექტივის ღირსება რესპუბლიკის სპორტპროინსტიტუტებისა და მისი ფილიალების მორიგ, VIII სპორტკლავიანზე.

დირექციის (დირექტორი ს. იმნაძე) და კოლექტივის მონდობა ახალ გამარჯვებათა საუკეთესო საწინდარია.


მ. გელაშვილი
(ჩვენი სპეც. კორ.)

სურათზე: საუკეთესო სპორტსმენები (მარცხნიდან-მარჯვნივ) პირველთაირიგოსანი მაგიდის ჩოგბურთელი ლ. ჯოხაძე, პირველთაირიგოსანი მსროლელი მ. დოგრაშვილი და მეორეთაირიგოსანი მაგიდის ჩოგბურთელი ე. ჩხიკვიშვილი ამუშავებენ პროექტს.

ფოტო ავტორისა.

იზიიბეს ფიზკულტურელებს

ჩვენს რესპუბლიკის დედაქალაქში ზეიმით აღნიშნა ფიზკულტურელების საკავშირო დღე. თბილისის მასშტებზე, კულტურისა და დასვენების პარკებში გაიმართა მასობრივი შეჯიბრები და საჩვენებელი გამოცდები. დიდი სპორტული სანახაობა (ნიჩოსხების, კატარების, სკუტერების, მოცურავეთა გამოსვლები) მოეწყო თბილისის ზღაზე, ქალაქის ქუჩებში გაიმართა საავტომობილო მოტო-ველო გარბენა, მთაწმინდისა და ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკებში — ლექციები, შეხვედრები ქართულ ჭიდაობაში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში. ქართულ მოჭიდავეთა ტურნირში გამოვიდნენ ტაბახმელი, შინდისელი, წავკისელი, იქროყანელი, ავტალელი და თბილისელი სპორტსმენები. წმინდა გამარჯვებანი მოიპოვეს ყურაშვილმა, დიდუბაშვილმა, კომპაძემ და სხვ. აქვე ისტაბლიზის კანდიდატმა თ. გიორგაძემ ჩაატარა ერთდროული თამაშის სეანსი ჭადრაკში. საქართველოს



ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკმა ა. დოგრაშვილმა წაიკითხა ლექცია „ფიზკულტურის საკავშირო დღე“...
ლისის ტბაზე გაიმართა მასობრივი ცურვა და მშორმატელების ჩაბარება. ცურვა ყველაზე მასობრივი იყო ფიზკულტურელების პარკისა და „განთიადის“ აუ-

ზეიმში. ამ უკანასკნელზე თავი მოიყარა 450-მდე ცურვის მოყვარულმა, გაიმართა შეჯიბრებანი სპორტკლავ „განთიადისა“ და საავჯო კომბინატის პირველობაზე. საინტერესო იყო ნორჩების საჩვენებელი გამოცდები — მოძრავი თამაშობანი წყალში, ფიგურული და ფარფლებით ცურვა, ყვინთვა.

იზიიბეს მშენებლის დღე

მშენებლის დღე ჩვენი ქვეყნის მშენებლებთან ერთად რუსთავის ამირკავკასიის მეტალურგიის №1 ტრესტის გაერთიანებული კოლექტივის მშრომლები ახალი შრომითი აღმავლობით შეხვდნენ საკავშირო დღესასწაულს — მშენებელთა დღეს. რუსთაველები მარტო მუშაობაში როდი არიან

მოწინავენი. მათ საკმაოდ მაღალი მიღწევები აქვთ ფიზკულტურასა და სპორტშიც. ფიზკულტურულ კოლექტივში გაერთიანებულია 1.800-მდე ადამიანი.
კულტურისა და დასვენების პარკში, ტბაზე, მოედნებზე გაიმართა დიდი სახალხო სეირნობა, კონცერტი, ცეკვები... მოეწყო ამხანაგუ-

რი შეხვედრები და პირველობანი სპორტის ცალკეულ სახეობებში, ჩატარდა აქაურ და აზოტელების სასუქების ქარხნის კალათბურთელთა მატჩი, შეჯიბრებები ფრენბურთში, ცურვაში, ქართულ ჭიდაობაში, კრივიში, მაგიდის ჩოგბურთში, ფრენბურთში. გრძელდებოდა მორიგი შიდასაკოლექტივო სპორტკლავი. ღონისძიებებში მათლებს ცდიდნენ როგორც დამწყებნი, ისე თანრიგოსანი სპორტსმენები.
რუსთაველ მშენებელთა ამ დღესასწაულზე ზეიმში მონაწილეობა მიიღეს სხვა ფიზკულტურული კოლექტივების საუკეთესო წარმომადგენლებმაც.
რ. ბაბრიძე

პარკი ამინდი რას ბიუჯეტის!

სპორტის ერთ-ერთი საინტერესო სახეობაა საზღვაო მრავალჭიდი, რომელიც მოიცავს ტყვიით სროლას, ცურვას, იალქნაინი და ნიჩიანი ნავებით რბოლას, მძლეოსნურ კროსს. წარმატების იმედი უნდა ჰქონდეს მხოლოდ იმას, ვინც ფიზკულტურულ მრავალჭიდი განვითარებული და მტკიცე ნებისყოფიანია. ამ თვისებათა შემოწმება ამ დღეებში მოხდა სოხუმში, სადაც გაიმართა საქართველოს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშეწყობით ნებაყოფლობითი საზოგადოების მომდინარე წლის ჩემპიონატი.
ვაჟთა 5 და ქაბუჯთა 6 გუნდი ჩაება გამარჯვებულის გვირგვინისთვის ბრძოლაში. ვაჟთა შორის ძა-

ღოსაფის რასპუბლიკური ჩემპიონატი
ლებს ცდიდნენ თბილისის, აჭარის, აფხაზეთის, ქუთაისისა და ფოთის გუნდები. ქაბუჯებში მათ დაემატა გულაუთის კოლექტივი, რომელიც პირველად გამოვიდა ამგვარ შეჯიბრებაში.
ჩემპიონატი გახსნეს მოცურავეებმა. 400-მეტრიანი დისტანცია ყველაზე კარგ დროში (5:41.5) გატურა თბილისელმა ვ. ანანოვმა. ქაბუჯებში უძლიერესი იყო მისი თანაგუნდელი ა. სარქისოვი. (5:56.7). როგორც ვაჟთა, ისე ქაბუჯთა შორის გასული წლის ჩემპიონატი გამარჯვებულნი — ა. გავრილოვი და ვ. ჩეჩეტოვი (ორივენი — აფხაზეთიდან) VII და VIII ადგილებით დაემყოფილდნენ.
სატურნირო მდგომარეობა შეიცვალა ტყვიით სროლის შემდგომბოლო ფაქტორად მხოლოდ ორ გუნდს — აჭარასა და აფხაზეთს შორის გაიმართა, რადგან სხვა კოლექტივები სუსტად იყვნენ მომზადებული. აი, თუნდაც ერთი ფაქტი: ქუთაისელები შეჯიბრებაზე შემოწმებულნი თოვებით ჩამოვიდნენ და „0“ მიიღეს.
პირად ასპარეზობაში გამარჯვება წილად ხვდათ: ქაბუჯებში — ს. კრახმალიუცს, (აჭარა), ვაჟთა შორის — ჩ. დოპუას (აფხაზეთი), რის შემდეგად გულდურ ჩათვლაში დაწინაურდნენ აფხაზეთისა და აჭარის კოლექტივები.
პროგრამის მეხამე სახეობა იყო მძლეოსნური კროსი 800 მეტრზე. თავი ისახელეს ვ. ანანოვმა და ვ. ჩეჩეტოვმა.

კარგი ამინდი შეხვდათ სპორტსმენებს იალქნებით რბოლაში, მაგრამ ამინდი რას გიშველია, თუ ისტატობა გაკლია და ნავის მართვა ხეირიანად არ იცი! სამწუხაროდ, ზოგიერთი სპორტსმენი სწორად ასეთ დღეში იყო, რის გამოც ორი რბოლის შემდეგ ჩათვლა მხოლოდ აფხაზეთმა მიიღო. მეხამე რბოლაში მდგომარეობა ერთგვარად გამოასწორა ქაბუჯთა თონმა გუნდმა. საბოლოოდ იალქნებით რბოლაში პირველობა აფხაზეთის ნაკრებს ღარჩა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ გულაუთელები. აფხაზეთის გუნდის სპორტსმენები პირველნი იყვნენ ვაჟთა შორისაც. მათ დიდი უპირატესობით მოუგეს მეორე ადგილზე გამოსულ აჭარის გუნდს.
ლიდერებისთვის დრამატულად წარმოაჩინა ნიჩოსანთა რბოლა 2.000 მეტრზე: აფხაზეთის ვაჟთა კოლექტივი ოთხი გამარჯვების რწმენით გამოვიდა სტარტზე და დამარცხდა. ფინიშთან პირველი მივიდა ფოთის კარგად მომზადებული გუნდი. მასპინძლები ჩამორჩნენ 6,8 წამით. სამავჯოროდ, ქაბუჯთა შორის პირველი იყო აფხაზეთის ნაკრები.
ამრიგად, საზღვაო მრავალჭიდი როგორც ვაჟთა, ისე ქაბუჯთა შორის, გამარჯვებს მასპინძლებმა. მომდევნო ადგილებზე არიან: ვაჟთა შორის — აჭარისა და ფოთის, ქაბუჯებში — აჭარისა და გულაუთის გუნდები.
საქართველოს ჩემპიონები გახლნენ: ქაბუჯთა შორის — ა. ვოინსკი ვაჟთა შორის — ა. გავრილოვი (ორივენი — აფხაზეთიდან).
ს. გელაშვილი
ღოსაფის აფხაზეთის კომიტეტის უფროსი ინსტრუქტორი.

სპორტის მრასხეობაში

ზესტადონის სამრეწველო ზონის „განთიადის“ საბჭოს პირად-გუნდურ პირველობაში მაგიდის ჩოგბურთისა და მცირეკალიბრისა და შაშხანის სროლაში, მონაწილეობდნენ ზონის ფიზკულტურული კოლექტივების გუნდები.
მაგიდის ჩოგბურთელთა ტურნირში პირველობა დაიასკურთა ზესტადონის ღვინის ქარხნის სამმართველოს კოლექტივმა.
მცირეკალიბრისა და შაშხანის სროლაში ყველას აჯობეს მარეღისის გრეხილავეჯეულობის ფაბრიკის მსროლელებმა.

ლ. ჯიზიაშვილი
ზესტადონი.



მეორე, — წმინდა სისხლის ცხენები უფრო „ნაზი“ არიან და ჩვენებურ თამაშებში მონაწილეობის დროს ადვილად გამოდიან მწყობრიდან. თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ ეს ცხენები კოლმეურნეობებს ძალიან ძვირი უჯდებოდა, გასაგებია ის დიდი ზარალი, რასაც განიცდიან მათი პატრონი. ვფიქრობ, მიზანშეწონილი ჩქნება, თუ ცხენოსნობის ქართულ სახეობებში დავუშვებთ მხოლოდ ადგილობრივი ჯიშის ცხენებს. ამით მყისვე გაიზრდება მასობრიობა, რადგან ყველა კოლმეურ-

ნებს შეეძლება თავისი ცხენით ჩაენს ასპარეზობაში, გაიფრთხილებს მისი შენახვა, ბევრი ხალხით მოეყრდება კარგი ცხენების გამოზრდას.
კ. ჩიკვაძე
გალის ცხენოსნობის სპორტსკოლის დირექტორი.

სომე არ აჯობებს?

იყო დრო, როცა ცხენოსნობის ქართულ ეროვნულ სახეობებში პირველობისთვის მხედრები ადგილობრივი ჯიშის ცხენებით იბრძოდნენ. თამაშებიც მასობრივი იყო და არც ცხენების მოვლა-პატრონობა ჯდებოდა ძვირი. ახლა

ამ ასპარეზობებში გამოჰყავთ წმინდა სისხლის ცხენები, რომლებიც, ჩვეულებრივ, კლასიკურ სახეობებში გამოიყენებიან. ეს ბევრ უხეზულობას და სირთულეს იწვევს.
ჯერ ერთი, — ეროვნულ სპორტულ

თამაშებში წმინდა სისხლის ცხენებით თითქმის მუდამ ჩაგრავენ ადგილობრივი ჯიშისას. ამიტომ აღარავის გამოჰყავს ამ ჯიშის ცხენები, რამაც ძალზე დიდი უარყოფითი გავლენა მოახდინა ამ სპორტის მასობრიობაზე.

მეორე, — წმინდა სისხლის ცხენები უფრო „ნაზი“ არიან და ჩვენებურ თამაშებში მონაწილეობის დროს ადვილად გამოდიან მწყობრიდან. თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ ეს ცხენები კოლმეურნეობებს ძალიან ძვირი უჯდებოდა, გასაგებია ის დიდი ზარალი, რასაც განიცდიან მათი პატრონი. ვფიქრობ, მიზანშეწონილი ჩქნება, თუ ცხენოსნობის ქართულ სახეობებში დავუშვებთ მხოლოდ ადგილობრივი ჯიშის ცხენებს. ამით მყისვე გაიზრდება მასობრიობა, რადგან ყველა კოლმეურ-

ნებს შეეძლება თავისი ცხენით ჩაენს ასპარეზობაში, გაიფრთხილებს მისი შენახვა, ბევრი ხალხით მოეყრდება კარგი ცხენების გამოზრდას.
კ. ჩიკვაძე
გალის ცხენოსნობის სპორტსკოლის დირექტორი.

